მოკლე ბიოგრაფია
არჩილ ბორჯაძემ 2000 წელს დაამთავრა თბილისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის 55-ე საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 5 წლიანი პროგრამა დაასრულა 2005 წელს. მიიღო მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. 2011 წლიდან ირიცხება კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში. 2002 წელს დაასრულა პაბლო პიკასოს სახელობის ესპანური ენის ინსტიტუტის ესპანური ენის პროგრამა უმაღლეს დონეზე, დაიცვა დიპლომი. ფლობს: ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს. 2011-2022 წლებში იყო სამართლის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი. 2022-2024 წლებში კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მენეჯერი. 2025 წლიდან არის ამავე უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის მენეჯერი. 2014 წლიდან კითხულობს სალექციო კურსს „შესავალი სამართალმცოდნეობაში“, 2018-2022 წლებში კი კითხულობდა „იურიდიულ ინგლისურს“.